პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 10 (1180) | ხუთშაბათი, 23 იანვარი, 1958 წ. | გამოცემის მე-14 წელი. | ფასი 30 კაპ.

ზეიმით აღნიშნეს

გასულ კვირას, რუსთავის მეტალურგთა კულტურის სახლში გაიმართა ადგილობრივ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს საიუბილეო სესია მიძღვნილი ქალაქის ათი წლისთავისადმი. სესიაზე მოვიდნენ რუსთავის მშრომელთა წარმომადგენლები, რუსეთის, აზერბაიჯანის, უკრაინის მეტალურგიული ქარხნების მუშაკები, სტუმრები გარდაბნისა და მარნეულის რაიონებიდან. პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან ამხანაგები: ვ. პ. მჟავანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, მ. დ. ჩუბინიძე, ი. ს. დოლიძე, დ. ი. ქადაგიძე, ფ. დ. დუმბაძე, გ. ა. გეგეშიძე.

საიუბილეო სესია გახსნა მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ი. ვიშნიაკოვმა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით ქალაქის მშრომელებს მიესალმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ვ. პ. მჟავანაძე.

რუსთავის მშრომელებს მიესალმნენ აგრეთვე მეტალურგიული ქარხნის დირექტორი ს. შარაძენიძე, ტრესტ „ამიერკავკასიის მეტალურგმშენის“ მთავარი ინჟინერი ვ. ვაშნერი, სუმგაითის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ი. ჯალილოვი და სხვები.

ამ დღეს ზეიმით აღნიშნეს თავიანთი ქალაქის ათი წლისთავი ადგილობრივმა ფიზკულტურელებმაც, მოეწყო ამანათრბენი „ქალაქის რკალი“, სადაც გამარჯვებისათვის იბრძოდა მოსწავლეთა, მშენებელთა, მეცემენტეთა, მეტალურგთა და სხვათა 19 გუნდი. ჩატარდა აგრეთვე ბავშვთა ბაგებისა და ბაღების აღსაზრდელთა შეჯიბრება ორ და სამთვლიანი ველოსიპედებით. 3–5 წლის გოგონათა შორის გაიმარჯვა რ. რევიამ, ბიჭებში — ი. ზეველიოვმა. 6-7 წლის ბავშვებიდან ყველას აჯობეს ზეინკლიშვილმა და გვოზდოვმა. ნორჩი სპორტსმენები დაჯილდოვდნენ სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით.

გაიმართა შეხვედრები, აგრეთვე თავისუფალ ჭიდაობაში, ფრენბურთსა და სპორტის სხვა სახეობებში.

სურათებზე: მარცხნიდან: ნორჩი ველოსიპედისტები დისტანციაზე. ამანათრბენის სტარტი.

ფოტო ა. ვართანოვისა.

გაიმარჯვეთ, გვასახელეთ კალათბურთელებო!

გასული წლის დამლევს ლატვიას მოედო საკმაოდ ორიგინალური ლოზუნგი — „მოვძებნოთ ახალი კრუმინში“.

— რა მოუვიდა ძველ კრუმინშს?

არაფერი ისეთი, უბრალოდ კიდევ ერთი კრუმინში საბოლოოდ „გაასწორებდა“ რიგის გუნდს.

კარგი საქმეა გაასწორებდა, მაგრამ აბა სხვა გუნდებსაც ჰკითხეთ? ჯერ ერთი კრუმინშისათვისაც ვერ მოუვლიათ და წარმოიდგინეთ, ახლა მოედანზე ორი კრუმინში.

როგორც ჩანს, რიგის გუნდს, მის ხელმძღვანელობასა და საერთოდ ლატვიის სპორტულ საზოგადოებრიობას, სრულებითაც არ აინტერესებთ რას იტყვიან ამაზე სხვა გუნდები. მათ აქვთ გარკვეული ამოცანა: მოახლოვდა საკავშირო პირველობა და მაშასადამე, საჭიროა ჩემპიონობის შენარჩუნება და კიდევ ერთი — რიგის სპორტსმენები წელს ევროპის თასის გათამაშებაში მონაწილეობენ და ბუნებრივია, არც ამ საპატიო ჯილდოს გაშვება უნდათ ხელიდან.

სხვა გუნდებს? მათაც ბევრი აქვთ საზრუნავი. ჯერ ერთი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში მონაწილეობა. შემდეგ, სხვადასხვა საერთაშორისო შეხვედრები, რომლებიც წლევანდელ სპორტულ სეზონში უხვად იქნება, და ბოლოს, ვიზიტები ევროპის, აზიისა და შეიძლება ამერიკის სხვადასხვა ქვეყნებში. არა, ყველაფერ ამას ნამდვილად ღირსეულად უნდა შეხვდნენ გუნდები, თორემ სირცხვილს სჭამენ. ამისათვის კი რა არის საჭირო? — მზადება, მზადება და კიდევ ერთხელ ძალისა და ენერგიის დაუზოგავად მზადება.

ეს იყო გუნდებისათვის უახლოესი თვეების ამოცანა. დღეს უკვე მოსამზადებელი მუშაობა დამთავრებულია და 27 იანვრიდან ისინი — „სამსჯავროს“ წინაშე წარსდგებიან (გათამაშების ცხრილი იხ. მე-3 გვ.).

რა თქმა უნდა, ყველა კოლექტივი თანაბრად მომზადებული ვერ შეხვდება სეზონის გახსნას. რიგის გუნდმა მაგალითად, ნახა პასუხი: როგორც გამოირკვა, იპოვა მეორე კრუმინში. ამ ახალი შენაძენით ლატვიელები ამხანაგურ მატჩში შეხვდნენ ლენინგრადის კალათბურთელებს და „უმოწყალოდ გაანადგურეს“ ისინი. სხვა გუნდები?.. თუმცა ჩვენ ჯერ ჩვენი ამბავი გვაწუხებს.

ბოლოსდაბოლოს ჩვენი რესპუბლიკის სპორტულმა საზოგადოებრიობამ აისრულა დიდი ხნის ნატვრა და საკავშირო შეჯიბრებაზე წარსდგა ორი გუნდით. ეს უდავოდ დიდი წარმატებაა. როგორ გამოვლენ საქართველოს კალათბურთელები ჩემპიონატში, ამას მომავალი გვიჩვენებს. ახლა კი მკითხველის ყურადღება გვინდა შევაჩეროთ შემდეგზე.

საკავშირო პირველობის დებულებაში ნათქვამია: გუნდს უნდა ჰყავდეს 2 მეტრზე უფრო მაღალი ერთი კალათბურთელი მაინც, თბილისის „ბურევესტნიკს“ ჰყავს ასეთი სპორტსმენი ანზორ ლეჟავა, „დინამოს“ კი არა. საინტერესოა, ნუთუ საქართველოს რაიონებში არ შეიძლება მაღალი ტანის ახალგაზრდების მონახვა? რაიონებზე იმიტომ ვლაპარაკობთ, რომ თბილისში, როგორც სჩანს, ისინი არ არიან. სხვაგან შეუძლებელია არ მოიძებნოს ასეთები. საჭიროა მხოლოდ გულმოდგინედ ძებნა და რაც მთავარია, დაინტერესება.

ვინ უნდა გამოიჩინოს ინიციატივა ამ საქმეში? თავდაპირველად რაიონების ფიზკულტურული ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა, რადგან ისინი გაცილებით უკეთ იცნობენ თავიანთ მიდამოებს და იქ მცხოვრებ ხალხს, ვიდრე თბილისიდან ჩასულები. და როდესაც ასეთი კანდიდატურა აღმოჩნდება, ყოველნაირად უნდა შეუწყონ ხელი მათთვის ნორმალური ცხოვრებისა და სამუშაო პირობების შექმნას.

ლატვიაში, სრულიად შემთხვევით მიაგნეს კრუმინშს. იგი ტყეში შეშას ჩეხდა და სრულებით არ ჰქონდა წარმოდგენა, რომ ქვეყანაზე არსებობს კალათბურთი, რომელიც მისი მოწოდება უნდა გახდეს შემდგომში. მას ფრთხილად და სწორად მიუდგნენ, დააინტერესეს საქმით, გაუღვიძეს პატრიოტული გრძნობები, შეუქმნეს პირობები და შედეგმაც სულ მალე იჩინა თავი.

განა ჩვენთან არ შეიძლება ამის გაკეთება? შეიძლება, მაგრამ ლატვიაში ამით დაინტერესებული იყო მთელი სპორტული საზოგადოებრიობა, ჩვენთან კი მხოლოდ „დინამოს“ ან „ბურევესტნიკის“ გუნდები.

შეიძლება გვიპასუხონ, რომ ახლა უკვე გვიან არის თავში ხელის შემოკვრა, რომ ახლა აღმოჩენილი კანდიდატურა, ვერ გამოდგება სეზონისათვის და ასე შემდეგ. მართალია, დღეს იგი გამოუსადეგარი იქნება, მაგრამ საქმე მარტო დღევანდელ დღეში ხომ არ არის. ჩვენ ხვალინდელ, ზეგინდელ დღეზეც უნდა ვიფიქროთ, რადგან კალათბურთის ისტორია ერთი სეზონით არ ამოიწურება.

კალათბურთი სპორტის სახეობაა, სპორტის განვითარება კი მის მასობრიობაში გამოიხატება. ახლახან დამთავრებულმა გოგონათა რესპუბლიკურმა შეჯიბრებამაც გაუსვა ხაზი ამას. მოედანზე გამოჩნდნენ მაღალი ტანის გოგონები. ეს გოგონებში, ჭაბუკებში კი — ერთი და იგივე გუნდები, ერთი და იგივე მოთამაშეები და მაშასადამე, შიშველი უპერსპექტივობა. მიზეზი ერთია — მწვრთნელს შეჯიბრებაზე ჩამოჰყავს გუნდი, რომლის შესადგენად შორს წასვლა არ დასჭირდა. მისი მხედველობის არეს მიღმა კი დარჩა ბევრი ჭაბუკი, გაცილებით მონდომებული, ენერგიული და იმედისმომცემი.

მოახლოვდა კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის გახსნის დღე — 27 იანვარი. ჩვენი რესპუბლიკის სამმა უძლიერესმა კოლექტივმა — ვაჟთა ორმა და ქალთა ერთმა გუნდმა უკვე დასტოვა თბილისი. სულ მალე რიგაში, კაუნასში, სვერდლოვსკსა და ალმა-ატაში აფრიალდება 25-ე საიუბილეო ჩემპიონატის გახსნის ალამი, ბრძოლაში ჩაებმებიან უძლიერესი გუნდები. ყოველი ჩვენთაგანის სურვილია, რომ თბილისის კოლექტივებმა გვასახელონ, ამიტომ ვუსურვოთ მათ წარმატება, გამარჯვება და გამარჯვების სიხარული.

წონა დაძლეულია

ალმა-ატაში გაიმართა ქალაქის საუკეთესო ძალოსანთა შეჯიბრება. მჩატე წონის სპორტსმენმა ს. ულიანოვმა ორი ხელით აჭიმვაში სცადა ჩვენი ქვეყნისა და მსოფლიო რეკორდის გაუმჯობესება, რომელიც ეკუთვნოდა ვ. სტოგოვს და უდრიდა 107,5 კილოგრამს.

ახალგაზრდა სპორტსმენმა თანმიმდევრულად აჭიმა 100 და 105 კილოგრამი შტანგა და მოითხოვა 3,5 კილოგრამის დამატება. წონა დაძლეულია. ულიანოვმა ერთი კილოგრამით გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი ორი ხელით აჭიმვაში.

ფეხბურთი თოვლზე

მოსკოვის სტადიონებზე დაიწყო ქალაქის ზამთრის პირველობა ფეხბურთში. პირველ კალენდარულ მატჩში ლიხაჩოვის სახელობის ავტოქარხნის ფეხბურთელებმა ანგარიშით 7:4 დაამარცხეს ცსკ მო-ს ფეხბურთელები. ტორპედოელთაგან კარგად ითამაშეს მედაკინმა და გუსაროვმა.

წაიკითხეთ მე-3 გვერდზე „1958 წლის გათამაშების დებულებიდან“.

ი. არტამონოვა — აბსოლუტური ჩემპიონი

საბჭოთა კავშირის 26-ე ჩემპიონატი ქალთა შორის ციგურებით ჩქაროსნულ რბენაში, ამავე დროს მსოფლიო პირველობისათვის საუკეთესო სპორტსმენთა შესარჩევ შეხვედრებსაც წარმოადგენდა. ლენინგრადის საციგურაოზე ჩემპიონის წოდებისათვის იბრძოდნენ ჩვენი ქვეყნის უძლიერესი სპორტსმენები.

ქალთა შორის 500 მეტრზე პირველი იყო მსოფლიო რეკორდსმენი ამ დისტანციაზე ლენინგრადელი თ. რილოვა, რომელმაც მანძილი დაფარა 48,1 წამში. გამარჯვებულს 2,1 წამით ჩამორჩნენ მოსკოველი არტამონოვა და ტულელი ბელოვა. სამაგიეროდ მეორე დისტანციაზე (1500 მეტრზე) არტამონოვამ შეძლო რევანშის აღება და პირველი მივიდა ფინიშთან — 2.36,4.

მეორე დღეს სპორტსმენები გამარჯვებისათვის იბრძოდნენ 1000 და 3000 მეტრზე. აქაც საუკეთესო იყო მსოფლიოს გასული წლის ჩემპიონი ი. არტამონოვა, რომელმაც 1000 მეტრზე აჩვენა 1.41,1. მეორე იყო რილოვა. სამი დისტანციის შემდეგ ლიდერობას კვლავ რილოვა ინარჩუნებდა.

აბსოლუტური ჩემპიონის ბედი უნდა გადაეწყვიტა მრავალჭიდის ბოლო დისტანციას — 3000 მეტრს. აქაც არტამონოვამ დაამტკიცა თავისი სიძლიერე, მოიპოვა მესამე ოქროს მედალი და ჩვენი ქვეყნის აბსოლუტური ჩემპიონის წოდებაც.

სათანრიგო მოთხოვნები

თანრიგები	ს ე ზ ო ნ ი	შესრულდეს ლაშქრობები მონაწილედ ან ხელმძღვანელად შემდეგი კატეგორიის სირთულით: 1-ლი ზაფხულში მონაწილედ	1-ლი ზაფხულში ხელმძღვანელად	1-ლი ზამთარში მონაწილედ	1-ლი ზამთარში ხელმძღვანელად	მე-2 ზაფხულში მონაწილედ	მე-2 ზაფხულში ხელმძღვანელად	მე-2 ზამთარში მონაწილედ	მე-2 ზამთარში ხელმძღვანელად	მე-3 ზაფხულში მონაწილედ	მე-3 ზაფხულში ხელმძღვანელად	მე-3 ზამთარში მონაწილედ	მე-3 ზამთარში ხელმძღვანელად
სპორტის ოსტატი	12	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
პირველი თანრიგი	9	1	1	1	1	1	1	1	1	1*)	—	—	—
მეორე თანრიგი	5	1	1	1	—	1	—	1	—	—	—	—	—
მესამე თანრიგი	2	1	—	1	—	—	—	—	—	—	—	—	—
მოხალისეთა თანრიგი	1	1	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—

*) ნება დართულია შეიცვალოს ზამთრის IH კატეგორიის მოგზაურობაში მონაწილეობით.

ყველა კატეგორიის სირთულის სვლიგეზის გავლის დროს ფიზიკურ მომზადებასთან ერთად უნდა გადაწყდეს მხარეთმცოდნეობის და შემეცნებითი ხასიათის ამოცანები, როგორიც არის მოგზაურობა რაიონის ისტორიული წარსული, მისი კულტურა და ეკონომიკა, აგრეთვე არქიტექტურული და ისტორიული ძეგლების, საწარმოთა, კოლმეურნეობათა, საბჭოთა მეურნეობათა, მუზეუმებისა და სხვა დაწესებულებების გაცნობა-დათვალიერება.

ლაშქრობის დროს უნდა სრულდებოდეს საზოგადოებრივი სასარგებლო შრომა. სახელდობრ: კამეცნიერო დაწესებულებათა და მუზეუმების დავალებათა შესრულება, ლექციების კითხვა ადგილობრივი მოსახლეობისათვის, სამოგზაურო რაიონის ზუსტი და დაწვრილებითი აღწერა და ა. შ.

ლაშქრობა თანრიგზე ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ იგი ჩატარდა ტურისტული მიზნებით შვებულების (არდადეგების) პერიოდში. ლაშქრობა უნდა აკმაყოფილებდეს ინსტრუქციულ მოთხოვნებს.

ზამატებითი მოთხოვნები

სპორტის ოსტატი. მოახდინოს ჩასათვლელი მოგზაურობა (ლაშქრობა), როგორც მინიმუმი სსრ კავშირის ოთხ გეოგრაფიულ რაიონში და სულ ცოტა ტურიზმის სამ სახეობაში; უნდა ჰქონდეს უმცროსი ინსტრუქტორის სახელწოდება ტურიზმის ერთ-ერთ არჩეულ სახეობაში: პირველი თანრიგის მინიჭების შემდეგ უხელმძღვანელოს გამოსასვლელი დღის ლაშქრობებს მშობლიურ მხარეში, რომელიც საერთო ჯამში უნდა აკმაყოფილებდეს I კატეგორიის ნორმატიული მოთხოვნებს; უნდა ჰქონდეს III თანრიგი სპორტის ერთ-ერთ სახეობაში. ალპინიზმში, თხილამურებში, საიალქნო სპორტში, ცხენოსნობაში, ველოში ან სამთო-სათხილამურო სპორტში. III-ე კატეგორიის ლაშქრობის ხელმძღვანელობის შემთხვევაში, სვლიგეზი და მისი ამოცანები შეთანხმებული უნდა იქნეს ტურიზმის აკავშირო სექციის პრეზიდიუმთან.

პირველი თანრიგი. მოახდინოს ჩასათვლელი მოგზაურობა, ლაშქრობა, როგორც მინიმუმი, სსრ კავშირის ორ გეოგრაფიულ რაიონში; მეორე თანრიგის მინიჭების შემდეგ უხელმძღვანელოს გამოსასვლელი დღის ლაშქრობებს მშობლიურ მხარეში, რომელიც საერთო ჯამში უნდა აკმაყოფილებდეს I-ლი კატეგორიის ნორმატულ მოთხოვნილებებს.

მეორე თანრიგი. გაიაროს პროგრამით გათვალისწინებული განსაზღვრული მომზადება ტურიზმის მეორე თანრიგისათვის.

მესამე თანრიგი. ჰქონდეს „სსრ კავშირის ტურისტის II აფიხურის“ ნიშანი.

თანრიგის დადასტურება

მესამე და მეორე თანრიგის შენარჩუნებისათვის საჭიროა ორ წელიწადში ერთხელ ჩატარდეს I-ლი კატეგორიის სირთულის ტურისტული ლაშქრობა; I-ლი თანრიგის შენარჩუნებისათვის კი II კატეგორიის ლაშქრობა; ხოლო სპორტის ოსტატობისათვის II კატეგორიის ლაშქრობის ხელმძღვანელობა, ან მონაწილეობა III კატეგორიის ლაშქრობაში.

შენიშვნები: 1. სანაოსნო სვლიგეზის მანძილი დადგენილია, მოძრაობა დამდგარ წყალზე ან მისი დინების მიმართულებით, რომლის სისწრაფე საათში 3 კმ არ აღემატება (ტბა, წყალსაცავი, ვაკეზე გამდინარე მდინარეები და ა. შ.). მდინარის დინებით მოძრაობის დრო კი, როდესაც მისი სისწრაფე საათში 3 კმ აღემატება, ნორმა 30%-ით იზრდება.

სამთო-ქვეითი სვლიგეზები უნდა შეიცავდნენ უღელტეხილებს, რომელთა სიმაღლე შერჩეული რაიონის თოვლის ხაზის სიმაღლეს აღემატება (კავკასია — 2700 მეტრი, ალტაი — 3.000 მეტრი, ტიან-შანი — 3.300 მეტრი., პამირი ალაი — 4.000 მეტრი). აღნიშნული უღელტეხილების რაოდენობა უნდა შეიცავდეს: კავკასიაში III კატეგორიის სვლიგეზზე — 6, II კატეგორიის სვლიგეზზე — 4, I კატეგორიის სვლიგეზზე — 2; ცენტრალურ ტიან-შანზე და ალტაიში შესაბამისად — III-II და I; დასავლეთ ტიან-შანზე და ყირგიზეთის ალა-თაუზე — IV-II და I ხოლო პამირ-აღაიზე — IIა, Iა, და Iბ.

3. ბუნებრივ დაბრკოლებებად ითვლებიან:

ა) ქვეითი ლაშქრობისათვის — უღრანი ტყე ხშირი ბუჩქნარით, ნაგრიგალვები და ბარდები, ჭაობი, ქვიშაადგილები და ძლიერად დასერილი ადგილმდებარეობა. დასერილი ადგილმდებარეობის განსაზღვრას ახდენენ კამარშრუტო კომისიები;

ბ) სანაოსნო ლაშქრობისათვის — მოძრაობა დინების აღმა, როდესაც მდინარის სიჩქარე საათში 3 კმ აღემატება, ჭორომი, ჩქერები, ჩახერგილი ადგილები, გადასათრევები და ადგილები ხშირი წყალმცენარეებით:

გ) სათხილამურო ლაშქრობისათვის — ძლიერად დასერილი ადგილმდებარეობა, ხორგი ყინულები და ხშირი ტყე უგზოდ სვლის დროს;

დ) სამთო-ქვეითი მოგზაურობისათვის — მოძრაობა ყინვარდნილებზე, თოვლიან ფერდობებზე და ველებზე, მოძრავ ქვანაყარზე და მორენებზე, მსხვილ ლოდიან ნაყარზე და კლდოვან უბნებზე. გარდა ამისა, უღელტეხილზე გადასვლა ფასდება, როგორც განსაზღვრული რაოდენობით ბუნებრივი დაბრკოლებებით გზის გადალახვა. უღელტეხილები, რომლებიც არ შედიან ალპინისტურ კლასიფიკაციაში, მაგრამ აღნიშნული რაიონისათვის მდებარეობენ თოვლის ხაზზე 200 მეტრით მაღლა, იმ შემთხვევაში ეფარდებიან 5 კმ მანძილს; ხოლო კლასიფიცირებული უღელტეხილები Iა, Iბ, IIა, IIბ, კატეგორიისა და მათი შესაფერი სირთულით, ხოლო არაკლასიფიცირებული — 7, 8, 9 და 10 კმ-ით.

ე) ველოლაშქრობისათვის — ძლიერად დაეერილი ადგილმდებარეობა, ჭაობები, ქვიშანაადგილები.

4. მცირედდასახლებულ ადგილებად იგულისხმება რაიონები, სადაც სვლიგეზზე მოძრაობის დროს ჯგუფის მიერ გადალახული იქნება დაბრკოლებანი და ა. შ. იმ შემთხვევაში, სადაც დასახლებული უბნები, განლაგებულნი იქნებიან მოძრაობის მიმართულებიდან არანაკლებ ორ სადღეღამისო მანძილის სიშორით ჯგუფის უზრუნველყოფა ხდება საკუთარი ძალითა და შეძლებით. II კატეგორიის სირთულის სვლიგეზზე, ხოლო ორ სადღეღამისო მანძილზე III კატეგორიის სირთულის სვლიგეზზე (სამ დღეღამისო მანძილზე) იმ ტურისტებისათვის, ვისაც წელიწადში 2 კვირიანი შვებულება აქვთ). დასახლებული უბნები, განლაგებული ჯგუფის მოძრაობის მიმართულებიდ გვერდზე უნდა იმყოფებოდნენ არანაკლებ ერთ სადღეღამისო მანძილზე.

5. იმ ტურისტებისათვის, ვისაც წელიწადში ორკვირიანი შვებულება აქვთ ნება დართულია:

ა) ჩაატარონ ლაშქრობა III კატეგორიის სირთულეზე, შემოკლებული სვლისგეზით, რისთვისაც დამატებით უნდა ჩაატარონ გამოსასვლელი დღეების სამი ლაშქრობა, თითოეული განსაზღვრული არანაკლებ 25 კმ-სა.

ბ) მესამე კატეგორიის სირთულის ლაშქრობა შესცვალონ, ორი ლაშქრობით, რომელიც უნდა ჩატარდეს ორ სეზონში (ზამთრის ან ზაფხულის პერიოდში).

სვლიგეზთა სიძნელის კატეგორიის განმსაზღვრელი მაჩვენებლები

სვლიგეზის სახე და სიძნელის კატეგორია	ქვეითი 1	ქვეითი 2	ქვეითი 3	სათხილამურო 1	სათხილამურო 2	სათხილამურო 3	სანაოსნო 1	სანაოსნო 2	სანაოსნო 3	სამთო-ქვეითი 1	სამთო-ქვეითი 2	სამთო-ქვეითი 3	ველო 1	ველო 2
მოგზაურობის ხანგრძლიობა დღეებში	10	14	19	8	12	16	10	14	19	10	14	19	10	14
მათ ნორის მცირედასახლებულ ადგილებში საერთო სირთულით	—	4	8	—	4	8	—	4	8	—	4	8	—	4
საერთო მანძილი	180	250	300	180	250	300	200	300	400	160	200	250	400	800
მათ შორის ბუნებრივ დაბრკოლებათა გადალახვით	—	50	100	—	50	100	—	50	100	—	40	80	—	50
ღამისთევის რაოდენობა საველე პირობებში	3	8	15	—	2	6	3	8	15	3	8	15	3	8

მოგზაურობის დამთავრების შემდეგ წარმოსადგენი საანგარიშო დოკუმენტი.

1-ლი კატეგორიის ლაშქრობა: სვლიგეზის პასპორტი და ხეპირი ანგარიში ძირეულ კოლექტივში.

მე-2 კატეგორიის ლაშქრობა: წერილობითი ანგარიში.

მე-3 კატეგორიის ლაშქრობა: დაწვრილებითი წერილობითი ანგარიში.

მე-2 და მე-3 კატეგორიის სიძნელის სვლიგეზთა მაჩვენებლებისა იმ ტურისტებისათვის, ვისაც წელიწადში ორკვირიანი შვებულება აქვთ

სვლიგეზის სახე და სიძნელის კატეგორია	ქვეითი 2	ქვეითი 3	სათხილამურო 2	სათხილამურო 3	სანაოსნო 2	სანაოსნო 3	სამთო-ქვეითი 2	სამთო-ქვეითი 3	ველო 2
მოგზაურობის ხანგრძლიობა დღეებში	10	10	10	10	10	10	10	10	10
მათ შორის მცირედასახლებულ ადგილებში	4	6	4	6	4	6	4	6	4
საერთო მანძილი	220	200	220	200	260	230	170	160	700
მათ შორის ბუნებრივ დაბრკოლებათა გადალახვით	50	75	50	75	50	75	40	60	50
ღამისთევის რაოდენობა საველე პირობებში	8	10	2	4	8	10	8	10	8

კონკურსში გამარჯვებულნი

ოქტომბრის რევოლუციის ოცდალეტიანი ლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად „ბურევესტნიკის“ ცენტრალურმა საბჭომ მოაწყო საუკეთესო ფიზკულტურული კოლექტივების კონკურსი გასული წლის ათი თვის განმავლობაში მოპოვებული მაჩვენებლების მიხედვით.

ჟიურიმ გამარჯვებულად სცნო თბილისია ტრამვაი-ტროლეიბუსთა სამმართველოს ძირეული კოლექტივი, რომელსაც გადაეცა ვიმპელი, სიგელი და ფულადი პრემია. მაღალი მაჩვენებლების მოპოვებისათვის სიგელებით დაჯილდოვდნენ, აგრეთვე ორჯონიკიძის სახელობის რაიონის მასწავლებელთა გაერთიანებული კოლექტივი, კინოსტუდიის, კარტოგრაფიული ფაბრიკის, ქალაქის შინამოსამსახურეთა, ფოსტამტის ცენტრალური ბანკის, „სოიუზდორპროექტისა“ და ავტოსარემონტო ქარხნის კოლექტივები.

ი. ხაგეიშვილი

რაიონულ თასზე

ლანჩხუთში ჩატარდა რაიონის განათლების განყოფილების ვარდამავალი თასის გათამაშება ფრენბურთში ქალთა შორის. შეჯიბრებაში, რომელშიც მონაწილეობდნენ ლანჩხუთის I და II, ჩიბათისა და ნიგოითის საშუალო სკოლების გუნდები, გაიმარჯვეს ჩიბათელმა ჯოგონებმა.

ბ. ტულუში

აჩრჩევნებს მიუძღვნეს

გასულ კვირას სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივმა“ და თბილისის რკინიგზის კვანძმა რკინიგზელთა კულტურის სახლში მოაწყეს სპორტული საღამო, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს.

საღამო დაიწყო სპორტული განყოფილებით. მაყურებელთა წინაშე წარსდგნენ ტანმოვარჯიშეები დოჩანეიშვილი, სეფისკვერაძე, ზორინი, ქაჯაია, ჯანელიძე და ოდილავაძე.

ტანვარჯიშული გამოსვლების შემდეგ დაიწყო საჩვენებელი გამოსვლები კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში, რომლებშიც მონაწილეობა მიიღეს სპორტის ოსტატებმა ო. ეგაოემ, კ. ავდალიანმა, გ. ნებიერიძემ, პირველთახრიგოსანმა ე. თორაძემ და რკინიგზის I სკოლის მოსწავლეებმა შ. აბულაძემ და ბ. გოხგაძემ.

მოეწყო აგრეთვე ძალოსნების ა. გაჩეჩილაძის, რ. გალოიანის, გ. მიმინოშვილისა და ი. ალბოროვის გამოსვლები.

დასასრულს გაიმართა კონცერტი, რომელშიც მოხალისეობა მიიღო თბილისის რკინიგზის კვანძის მხატვრულმა თვითმოქმედმა კოლექტივმა.

შ. ქირია

წერილების კვალდაკვალ

გარეუბნის რაიონის სოფლის ახალგაზრდობაში მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობა არ დგას სათანადო სიმაღლეზე — იუწყებოდა ჩვენი გაზეთის 5 იანვრის ნომერში დაბეჭდილი მამხილებელი წერილი — „ი. კოტორაშვილის საქმიანობა“.

როგორც სპორტული საზოგადოება „კოლმეურნეს“ ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმიდან გვატყობინებენ, წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. ი. კოტორაშვილი და მოანგარიშე გ. ღვინიაშვილი რაიონში ფიზკულტურული მუშაობის ჩაშლისა და ფინანსური დისციპლინის დარღვევისათვის მოხსნილი არიან სამსახურიდან.

დასახულია ღონისძიებები მუშაობის გამოსასწორებლად.

თ ე ა ტ რ ი ს ფ ო ი ე ბ ი

ამას წინათ მარჯანიშვილის სახელობის თეატრში ადგილობრივი მოჭადრაკეებისა და მაგიდის ჩოგბურთელების მოწვევით აქ სტუმრად იყვნენ ხელსაწყოთა მშენებლობისა და ავტომატიზაციის საშუალებათა თბილისის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფიზკულტურელები. მიუხედავად იმისა, რომ თეატრი ამ დღეებში თავიანთ მთავარ კონკურენტს — რუსთაველის სახელობის თეატრის ძირეულ კოლექტივს ელოდა, ამავე დროს გაძლიერებით ემზადებოდა საქართველოს კულტურის დეკადისათვის, ადგილობრივმა სპორტსმენებმა გამონახეს დრო მოეწყოთ შეხვედრა ახალ მეგობრებთან.

შეჯიბრება სპორტის ორივე სახეობაში აღინიშნა მახპინძელთა უპირატესობით და მათივე გამარჯვებით დამთავრდა. ეს განსაკუთრებით ითქმის მაგიდის ჩოგბურთელებზე, სადაც მსახიობებმა ადვილად დაამარცხეს მოწინააღმდეგენი. მახპინძლების გამარჯვებით დამთავრდა აგრეთვე მოჭადრაკეთა შეხვედრა — 4.5:3,5.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ინსტიტუტი ერთი წელია რაც არსებობს, საკმაოდ ძლიერ კოლექტივად ითვლება. უახლოეს მომავალში მეგობრები კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს.

გ. გელაშვილი

27 იანვარს იწყება სსრკ პირველობა კალათბურთში

ჩემპიონატში მონაწილეობს „ა“ კლასის ვაჟთა და ქალთა შემდეგი გუნდები. ვაჟები: რიგის ოფიცერთა სახლი, თბილისის „დინამო“, რიგის „სპარტაკი“, მოსკოვის „დინამო“, ლენინგრადის „ბურევესტნიკი“, მოსკოვის „სპარტაკი“, კაუნასის „ჟალგირისი“, ცსკმო, ტალინის „კალევი“, თბილისის „ბურევესტნიკი“, ალმა-ატის „ბურევესტნიკი“ და სვერდლოვსკის გუნდი (განლაგებულნი არიან კენჭისყრის მიხედვით). ქალები: მოსკოვის „ტრუდი“, მოსკოვის „ბურევესტნიკი“, მოსკოვის „დინამო“, რიგის „დაუგავა“, ტარტუს „კალევი“, კაუნასის „ჟალგირისი“, მოსკოვის „სერპ ი მოლოტი“, ლენინგრადის „ბურევესტნიკი“, თბილისის „ბურევესტნიკი“, როსტოვის „ბურევესტნიკი“, ლენინგრადის ოფიცერთა სახლი, სვერდლოვსკის კოლექტივი.

გათამაშების კალენდარი

ქალები

რიგა

1 წრე, 1 ტური

27 იანვარი. მოსკოვის „დინამო“ — სვერდლოვსკი, მოსკოვის „ბურევესტნიკი“ — ტარტუს „კალევი“, **რიგის „დაუგავა“ — თბილისის „ბურევესტნიკი“.**

28 იანვარი. თბილისის „ბურევესტნიკი“ — ტარტუს „კალევი“, სვერდლოვსკი — მოსკოვის „ბურევესტნიკი“, რიგის „დაუგავა“ — მოსკოვის „დინამო“.

29 იანვარი. მოსკოვის „დინამო“ — თბილისის „ბურევესტნიკი“, ტარტუს „კალევი“ — სვერდლოვსკი, მოსკოვის „ბურევესტნიკი“ — რიგის „დაუგავა“.

31 იანვარი. თბილისის „ბურევესტნიკი“ — სვერდლოვსკი, მოსკოვის „დინამო“ — მოსკოვის „ბურევესტნიკი“, რიგის „დაუგავა“ — ტარტუს „კალევი“.

ვაჟები

სვერდლოვსკი

1 წრე. 1 ტური

27 იანვარი. ლენინგრადის **„ბურევესტნიკი“ — თბილისის „დინამო“**, რიგის ოფ. სახლი — მოსკოვის „დინამო“, სვერდლოვსკი — ტალინის „კალევი“.

28 იანვარი. ტალინის „კალევი“ — მოსკოვის „დინამო“, **თბილისის „დინამო“ — რიგის ოფ. სახლი,** სვერდლოვსკი — ლენინგრადის „ბურევესტნიკი“.

29 იანვარი. ლენინგრადის „ბურევესტნიკი“ — ტალინის „კალევი“, **მოსკოვის „დინამო“ — თბილისის „დინამო“**, რიგის ოფ. სახლი — სვერდლოვსკი.

31 იანვარი. ლენინგრადის „ბურევესტნიკი“ — რიგის ოფ. სახლი, **ტალინის „კალევი“ — თბილისის „დინამო“**, სვერდლოვსკი — მოსკოვის „დინამო“.

1 თებერვალი. რიგის ოფ. სახლი — ტალინის „კალევი“, მოსკოვის „დინამო“ — ლენინგრადის „ბურევესტნიკი“, **თბილისის „დინამო“ — სვერდლოვსკი.**

ალმა-ატა

1 წრე, 1 ტური

27 იანვარი. ცსკმო — მოსკოვის „სპარტაკი“, **რიგის „სპარტაკი“ — თბილისის „ბურევესტნიკი“**, ალმა-ატის „ბურევესტნიკი“ — კაუნასის „ჟალგირისი“.

28 იანვარი. კაუნასის „ჟალგირისი“ — თბილისის „ბურევესტნიკი“, მოსკოვის „სპარტაკი“ — რიგის „სპარტაკი“, ალმა-ატის „ბურევესტნიკი“ — ცსკ მო.

29 იანვარი. ცსკმო — კაუნასის „ჟალგირისი“, **თბილისის „ბურევესტნიკი“—მოსკოვის „სპარტაკი“**, რიგის „სპარტაკი“ — ალმა-ატის „ბურევესტნიკი“.

31 იანვარი. კაუნასის „ჟალგირისი“ — მოსკოვის „სპარტაკი“, ცსკმო — რიგის „სპარტაკი“, **თბილისის „ბურევესტნიკი“ — ალმა-ატის „ბურევესტნიკი“.**

1 თებერვალი. ცსკმო — **თბილისის „ბურევესტნიკი“.**

გასაოცარი ნახტომი

სიდნეიდან სპორტულ სამყაროს მოედო ცნობა იმის შესახებ, რომ ვინმე რობინ უდჰაუსმა გამორბენით ამაღლებზე ხტომაში დაძლია 162 სმ.

საოცრება იმაშია, რომ რობინ უდჰაუსი სულ 14 წლისაა.

სურათზე: ვ. რადიმაშვილი, **რომელმაც ამ დღეებში დაამყარა რესპუბლიკური რეკორდები და სპორტის ოსტატის ნორმა შეასრულა.**

ფოტო გ. ლივშიცისა.

1958 წლის გათამაშების დეგულეგიდან

გასულ წლებთან განსხვავებით მიმდინარე წელს გაცილებით ადრე აღიმართება ჩვენი ქვეყნის საფეხბურთო ჩემპიონატის ალამი. ეს მოხდება 23 მარტს კიშინიოვის, კიევის, თბილისის, ოდესისა და ბაქოს ატადიორნებზე. ფეხბურთის მოყვარულთათვის ცნობილია, თუ ვინ იბრძოლებს სპატიო ტიტულისათვის. მაგრამ, რადგან პირველობაზე მონაწილე ზოგიერთ გუნდს სახელწოდება შეეცვალა. ამიტომ სჯობს მკითხველს კვლავ მოვაგონოთ ეს კოლექტივები. შეჯიბრებაში გამოვლენ მოსკოვის „დინამო“, „ტორპედო“, „სპარტაკი“, „ლოკომოტივი“, ცსკმო, კიევისა და თბილისის „დინამოს“ გუნდები, სტალინოს „შახტიორი“, კიშინიოვის „მოლდოვა“ (ყოფილი „ბურევესტნიკი“), ლენინგრადის „ზენიტი“, კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი“ და ლენინგრადის „ადმირალტეეცი“ (ყოფილი „ავანგარდი“), რომელმაც მოიპოვა უფლება ჩამდგარიყო ჩვენი ქვეყნის უძლიერესი გუნდების რიგებში. როგორც ხედავთ, მიმდინარე წლის სეზონში „ა“ კლასის გუნდების რაოდენობა არ შეცვლილა. სამაგიეროდ, „ბ“ კლასში მონაწილეობას მიიღებს 94 კოლექტივი, რომლებიც დაყოფილი არიან 6 ზონად (5 ზონაში ითამაშებს 16-16 გუნდი), ხოლო აღმოსავლეთის ზონაში გამოვა — 14. აქ პირველობა ჩატარდება 13 აპრილიდან 18 ოქტომბრამდე, შემდეგ ზონებში გამარჯვებულები მონაწილეობას მიიღებენ ექვსთა ტურნირში. ამას გარდა, 1959 წლიდან ზონებში გამარჯვებულთა გუნდებს დაემატება მეშვიდე მონაწილე. ეს იქნება „ა“ კლასის პირველობაზე მე-11 ადგილზე გამოსული კოლექტივი, რომელიც შვიდთა ტურნირში ითამაშებს და თუ პირველ ან მეორე ადგილზე გამოვა ინარჩუნებს „ა“ კლასში თამაშის უფლებას. წინაადმდეგ შემთხვევაში „ა“ კლასში ითამაშებს „ბ“ კლასის ორი უძლიერესი კოლექტივი, რომლებიც 1-2 ადგილს დაიკავებენ ფინალურ ტურნირში.

რესპუბლიკათა უძლიერესი გუნდების გადაყვანა „ბ“ კლასში მოხდება ასეთი წესით: რესპუბლიკის ჩემპიონი პირველობის დამთავრების შემდეგ გადასასვლელ მატჩს ითამაშებს თავისი რესპუბლიკის გუნდთან, რომელიც თამაშობს „ბ“ კლასში და გამარჯვების შემთხვევაში გადავა „ბ“ კლასში. თუ რომელიმე რესპუბლიკიდან „ბ“ კლასში თამაშობს რამდენიმე კოლექტივი, მაშინ გადასასვლელი მატჩები ეწყობა იმ გუნდთან, რომელიც გათამაშებაში მოაგროვა ქულათა ნაკლები რაოდენობა, მიუხედავად იმისა თუ რომელ ზონაში გამოდის. გადასასვლელი მატჩები არ ეწყობა იმ შემთხვევაში თუ „ბ“ კლასის გუნდი გაიმარჯვებს თავის ზონაში.

სსრკ თასზე თამაშები გაიმართება ისე, როგორც ეს იყო გასულ აეზონში. გათამაშდება 2 ჯილდო, ერთი—ოსტატთა გუნდებისათვის, მეორე— კოლექტივებისათვის. „ბ“ კლასის გუნდები თასისათვის ბრძოლაში ჩაებმებიან ივლისის თვეში (თავიანთ ზონებში). ოქტომბერში „ა“ კლასის კოლექტივები და „ბ“ კლასის 4 უძლიერესი კოლექტივი ჩაატარებენ გადამწყვეტ შეხვედრებს. სსრკ თასზე ფინალური მატჩი გაიმართება 29 ოქტომბერს. მომავალ სეზონში გაიმართება აგრეთვე 277 საერთაშორისო მატჩი. აქედან 172 სსრ კავშირში, 105 საზღვარგარეთ. იმის გამო, რომ 8-29 ივნისს სტოკჰოლმში გაიმართება მსოფლიო პირველობის გათამაშება ფეხბურთში, სსრ კავშირის პირველობაზე მატჩები არ შედგება 3 მაისიდან 30 ივნისამდე. უკვე შედგენილია მსოფლიო პირველობაში მონაწილე სსრ კავშირის ნაკრები გუნდის საორიენტაციო შემადგენლობა, რომელშიც შევიდა 29 ფეხბურთელი. ესენი არიან: მეკარეები — ლ. იაშინი, ვ. ბელაიევი (მოსკოვის „დინამო“), ვ. მასლაჩენკო (მოსკოვის „ლოკომოტივი“). მცველები — მ. ოგონკოვი („სპარტაკი“), ვ. კესარევი, კ. კრიჟევსკი, ბ. კუზნეცოვი (მოსკოვის „დინამო“), ე. როგოვი („ლოკომოტივი“) ლ. ოსტროვსკი („ტორპედო“) და ვ. შჩერბაკოვი (ცსკმო); ნახევარმცველები — ი. ვოინოვი (კიევის „დინამო“), ი. ჩიტო („სპარტაკი“), ვ. ივანოვი (მოსკოვის „დინამო“) და ი. დერგაჩოვი („ტორპედო“); თავდამსხმელები — ნ. ტატუშინი, ა. ისაევი, ნ. სიმონიანი, ა. ილინი („სპარტაკი“), ს.მეტრეველი, ვ. ივანოვი, ე. სტრელცოვი, გ. გუსაროვი („ტორპედო“), ა. მამიკინი, გ. ფედოსოვი, ა. კორშუნოვი (მოსკოვის „დინამო“), ვ. ბუბუკინი, ი. კოვალიოვი („ლოკომოტივი“), გ. აპუხტინი (ცსკმო) და ვ. პონედელნიკი (როსტოვის „ტორპედო“), ნაკრების მწვრთნელებია — გ. კაჩალინი და მ. იაკუშინი.

* * *

ნაკრები გუნდების შეხვედრები

7 მაისი. სსრკ-I — სსრკ (ახალგაზრდული). **10.** სსრკ (ახალგაზრდული) — მოსკოვი (ჭაბუკთა). **11.** მოსკოვი I — სოფია I (მოსკოვში), მოსკოვი II — სოფია II (სოფიაში). **17.** სსრკ II — სსრკ (ახალგაზრდული). **18.** სსრკ — ინგლისი (მოსკოვში). **25.** სსრკ I სსრკ II, სსრკ (ახალგაზრდული) — კიევის ნაკრები. **31.** სსრკ I — სსრკ (ახალგაზრდული).

15 ივნისი. მოსკოვი — ფხენიანი. **3 აგვისტო.** სსრკ I — რუმინეთი I (ბუქარესტში), სსრკ (ჭაბუკები) — რუმინეთი (ჭაბუკები) — ბუქარესტში. სსრკ II — რუმინეთი II (მოსკოვში). **31.** სსრკ I —ჩეხოსლოვაკია I (პრაღაში), სსრკ (ჭაბუკები) — ჩეხოსლოვაკია (ჭაბუკები) — პრაღაში, სსრკ (ახალგაზრდული) — ჩეხოსლოვაკია (ახალგაზრდული) — მოსკოვში.

28 სექტემბერი. სსრკ I — უნგრეთი I (მოსკოვში), სსრკ (ჭაბუკთა) — უნგრეთი (ჭაბუკთა)— —მოსკოვში. სსრკ II — უნგრეთი II (ბუდაპეშტში), სსრკ (ახალგაზრდული) — უნგრეთი (ახალგაზრდული) — ბუდაპეშტში. **20. ოქტომბერი.** სსრკ — ინგლისი — ლონდონში.

გათამაშების კალენდარი

23 მარტი. „დინამო“ (თბილისი) —„დინამო“ (მოსკოვი), „ზენიტი“ (ლენინგრადი) — „ტორპედო“ (მოსკოვი) — ოდესაში, „მოლდოვა“ (კიშინიოვი), — „სპარტაკი“ (მოსკოვი), „დინამო“ (კიევი) — „ადმირალტეეცი“ (ლენინგრადი), „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „შახტიორი“ (სტალინო) — ბაქოში.

29. „შახტიორი“ — „დინამო“ (მოსკოვი) — თბილისში, „მოლდოვა“ — „ტორპედო“, „დინამო“ (კიევი) — „სპარტაკი“, „ლოკომოტივი“ — „კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — ბაქოში.

30. „დინამო“ (თბილისი) — ცსკმო.

4 აპრილი. „სპარტაკი“—„ადმირალტეეცი“ (კიევი), „კრ. სოვეტოვი“ — „დინამო“ (მოსკოვი)— თბილისში, „დინამო“ (კიევი) — „ტორპედო“.

5. ცსკმო — „შახტიორი“ — ერევანში, „ლოკომოტივი“ — „ზენიტი“ — კიევში.

9. „ტორპედო“ — „კრ. სოვეტოვი“ — თბილისში.

10. „დინამო“ მოსკოვი — „ადმირალტეეცი“ — ოდესაში, „დინამო“ (თბილისი) — „სპარტაკი“, „მოლდოვა“ — ცსკმო, „დინამო“ (კიევი) — „ლოკომოტივი“, „შახტიორი“ — „ზენიტი“.

15. „მოლდოვა“ — „დინამო“ (მოსკოვი), „შახტიორი“—„სპარტაკი“, „დინამო“ (კიევი) — ცსკმო, „კრ. ოვეტოვი“ — „ზენიტი“, „ადმირალტეეცი“ — „ლოკომოტივი“ — ოდესაში.

16. „დინამო“ (თბილისი) — „ტორპედო“.

19. ცსკმო — „ადმირალტეეცი“ — კიევში.

20. „დინამო“ (კიევი) — „დინამო“ (მოსკოვი), „დინამო“ (თბილისი) — „ზენიტი“, „მოლდოვა“ — „ლოკომოტივი“.

21. „კრ. სოვეტოვი“ — „სპარტაკი“.

22. „შახტიორი“—„ტორპედო“.

25. „კრ. სოვეტოვი“ — ცსკმო.

26. „დინამო“ (მოსკოვი)—„ლოკომოტივი“, „დინამო“ (კიევი) — „მოლდოვა“, „შახტიორი“ — „დინამო“ (თბილისი).

27. „სპარტაკი“ — „ზენიტი“.

28. „ტორპედო“ — „ადმირალტეეცი“.

30. ცსკმო — „დინამო“ (მოსკოვი).

სად არიან იტალიელი ფეხბურთელები?

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში გავრცელებული ვაჭრობა ცნობილი ფეხბურთელებით უკანასკნელ ხანებში ზღაპრულ საზღვრებს აღწევს. ამ მხრივ „პირველობა“ იტალიელ საჭმოსნებს ეკუთვნით, რომლებიც მეკობრეებივით მოევლინენ სამხრეთ ამერიკასა და სხვა სახელმწიფოთა ფეხბურთელთა „ბიზრებს“. იტალიური გაზეთს „კორიერო დელა სპორტს“ მოჰყავს იტალიის წამყვანი გუნდების შემადგენლობები, რომელთა დიდ ნაწილს უცხოელები შეადგენენ. იტალიის ჩემპიონს „მილანს“ ძირითად შემადგენლობაში ჰყავს ხუთი უცხოელი: სკიაფინო (ურუგვაი), კუკიარინი, გრილო (ორივე არგენტინიდან), ლიდჰოლმი (შვეციიდან იგი გუნდის კაპიტანიცაა) და ბრედესენი (ნორვეგია). მილანის მეორე გუნდმა „ინტერნაციონალემ“ გასულ წელს შეიძინა არგენტინის ნაკრების ცენტრალური თავდამსხმელი, 21 წლის ანჯელილო, კლუბმა „იუვენტუსმა“, რომელიც წლების განმავლობაში სუსტი შედეგებით გამოდიოდა ქვეყნის ჩემპიონატში წარუმატებლობა უცხოელ ფეხბურთელთა ნაკლებობით „ახსნა“. მაშინ ტერინოს საავტომობილო ქარხნის „ფიატის“ მეპატრონე მილიონერებმა, რომლებიც კლუბ „იუვენტუსს“ მფარველობენ, კოლოსალური თანხის გადებით „შეიძინეს“ უელაის ეროვნული ნაკრების წევრი ჯონ ჩარლზი. ეს ფეხბურთელი გასული წლის შედეგებით ევროპის უძლიერეს ცენტრფორვარდად იქნა აღიარებული. ჩარლზის გარდა „იუვენტუსს“ შემადგენლობაში ჰყავს არგენტინელი კონტი და შვედი ჰამბრინი. „ბოლონიამ“ გადმოიბარა იუგოსლავიის ეროვნული ნაკრების ცენტრალური თავდამსხმელი ვუკასი, აგრეთვე ფრანგი ნახევარმცველი ბონიფაჩი, არგენტინელი სეგინი, დანიელი ჰილმარი და სხვ.

მრავალი უცხოელია იტალიის პირველი ლიგის დანარჩენ გუნდებშიც. „ლაციოს“ ძირითად შემადგენლობაში ჰყავს 3 უცხოელი, „ინტერნაციონალეს“ — 4, „ნეაპოლს“ — 3, „ტურინს“ — 4, „ატლანტას“ — 2, „პალერმოს“ — 2, „პადუას“ — 2, „ვიჩენცას“ — 2, „ტრიესტინას“ და „უდინეზეს“—2-2. ამ სიის მოყვანის შემდეგ სტატიის ავტორი სამართლიანად დაასკვნის: სად არიან იტალიელი ფეხბურთელები, როგორ უნდა შევადგინოთ ჩვენი ეროვნული ნაკრები მსოფლიო პირველობაზე გამოსასვლელად?

1957 წლის სეზონის საუკეთესო ფეხბურთელები

ფრანგული ჟურნალის „ფრანს-ფუტბოლის“ რედაქციამ თხოვნით მიმართა მთელ რიგ ცნობილ სპორტულ მომომხილველებს, დაესახელებინათ ევროპის საუკეთესო ფეხბურთელები 1957 წლის სეზონის მიხედვით. რედაქციამ შეაჯამა მიმომხილველთა მონაცემები, რომელთა შედეგად უძლიერეს ფეხბურთელთა სია ასე გამოიყურება:

1. ცენტრალური თავდამსხმელი — დი სტეფანო (ესპანეთის კლუბი „რეალ-მადრიდი“) — 72 ქულა.
2. ცენტრალური მცველი — რაატი (ინგლისის კლუბი, „ვულვერჰემპტონ უონდერერსი“) — 19 ქულა.
3. მარჯვენა გარემარბი — კოპა (საფრანგეთი, თამაშობს ესპანეთის „რეალ-მადრიდში“) — 16 ქულა.
4. მარცხენა ნახევარმცველი — ტვარდსი (ინგლისის კლუბი „მანჩესტერ იუნაიტედი“) — 16 ქულა.
5. მარჯვენა შუამარბი — კუბალა (ესპანეთის კლუბი „ბარსელონა“) — 15 ქულა.
6. ცენტრალური თავდამსხმელი — ჩარლზი (უელსი. თამაშობს იტალიის კლუბ „იუვენტუსში“)— 14 ქულა.
7. ცენტრალური თავდამსხმელი — სტრელცოვი (მოსკოვის „ტორპედო“) — 12 ქულა.
8. ცენტრალური თავდამსხმელი — ტეილორი (ინგლისის კლუბი „მანჩესტერ იუნაიტედი“) — 10 ქულა.
9. მარჯვენა ნახევარმცველი — ბოყიკი (უნგრეთის კლუბი „ჰონვედი“) — 9 ქულა.
10. მარცხენა ნახევარმცველი — ნეტო (მოსკოვის „სპარტაკი“) — 9 ქულა.

ასევეთვე თხოვნით სპორტულ ჟურნალისტებს მიმართა ინგლისის გაზეთმა „ივენინგ სტანდარტმა“. ამ გაზეთში შემოსული ანკეტების მიხედვით სპეციალისტთა აზრი განსხვავდება ინგლისის ნაკრების კაპიტნის ბილ რაიტის შეფასებაში, რომელიც ამჟამად სულაც არ მოხვდა უძლიერესთა შორის. პირველი ადგილი ამჯერად მიეკუთვნა ჯონ ჩარლზს, მეორე — ალფრედო დი სტეფანოს, მესამე — დუნკან ტვარდსს, მეოთხე — ედუარდ სტრელცოვს.

ესპანეთის გაზეთმა „მარკამ“ გამოაქვეყნა უძლიერეს ფეხბურთელთა სია შემდეგი თანმიმდევრობით: 1. დი სტეფანო, 2. კუბალა, 3. ედვარდსი, 4. კოპა, 5. ჰექტორ გენტო („რეალ-მადრიდის“ მარჯვენა გარემარბი).

სავსებით განსხვავებული აზრი გამოთქვა გერმანელმა სპორტულმა ჟურნალმა „დერ კიკერმა“, მის სიაში პირველ ადგილზეა საბჭოთა კავშირის ნაკრების მეკარე იაშინი, მეორეზეა — სტრელცოვი. მესამე ადგილს ჟურნალი აკუთვნებს ესპანელ თავდამსხმელს კუბალას, მეოთხეს — მარცხენა ნახევარმცველს შიმანიაკს (დასავლეთ გერმანიის კლუბი „ვუპერტალი“). მეოთხე ადგილზეა უნგრეთის ეროვნული ნაკრების მეკარე — გროშიჩი.

ტალმა ვერ სძლია სუეტინის წინააღმდეგობას ◇ გურგენიძე ცაიტნოტში კვლავ შეცდომას უშვებს ◇ კოტრჩნოტისა და ტაიმანოვის მეოთხე დამარცხება ◇ გელერისა და ბოლესლავსკის ზავი.

რიგი XXV ჩემპიონატი

ყოველ ტურს მრავალი მოულოდნელობა მოაქვს, რაც ჩემპიონატს უფრო მიმზიდველს ხდის. მაყურებლებს განსაკუთრებით აღელვებს მათ თანამემამულეთა (მ. ტალისა და ა. გიპსლისის) და ლიდერების პარტიები. V ტურში ტალმა და გიპსლისმა პარტიები ყაიმით დაამთავრეს. ტალმა ბელორუსიის ჩემპიონ ნ. სუეტინთან თუმცა მოიპოვა ინიციატივა, კომბინაციით პაიკიც მოიგო, მაგრამ ვერაფრით ვერ შეძლო მოწინააღმდეგის შეუპოვარი დაცვის დაძლევა. სუეტინმა ისეთი პოზიცია ააგო, რომ ტალი იძულებული გახდა ყაიმით დაკმაყოფილებულიყო. გიპსლისმა და კროგიუსმა ძალზე რთულ პოზიციაში ბრძოლას თავი აარიდეს და 23-ე სვლაზე დაიწყეს სვლების განმეორება. მსაჯთა კოლეგია იძულებული იყო პარტია ყაიმად გაეფორმებია, მიუხედავად იმისა, რომ 30-ე სვლაზე აღრე ყაიმზე შეთანხმება ამ ტურნირში აკრძალულია.

გელერმა და ბრონშტეინმა, რომლებიც მშვიდობიანად იყვნენ განწყობილი, 30-ე სვლისათვის გაამარტივეს თამაში და ზავი დადეს. თუმცა კორჩნოი-პეტროსიანის პარტიაშიც მოწინააღმდეგეებმა ბრძოლა ყაიმით დაამთავრეს, მაგრამ აქ პეტროსიანს თავდადებული თამაში დაჭირდა ამის მისაღწევად. უარეს მდგომარეობაში მოსკოველმა გროსმაისტერმა ხარისხის შეწირვით მუდმივი ქიში გამოაცხადა. ყაიმი იყო ფიქსირებული აგრეთვე პოლუგაევსკი-ბოლესლავსკის პარტიაშიც.

ტოლუში ამი წაგების შემდეგ „თავზეხელაღებით“ თამაშობდა. იგი არ ერიდებოდა არაფერს. მხოლოდ მოგება — აეთია მისი დევიზი. ამიტომ ბორისენკოსთან პარტიაში ნაკლებად შესწავლილი ვარიანტი გაითამაშა, მაგრამ გამოირკვა, რომ ოსტატს სცოდნია ეს ვარიანტი. მან ზუსტად ითამაშა და უპირატესობა მოიპოვა. ტოლუში შეეცადა ლაზიერების გაცვლით გაემარტივებია თამაში, მაგრამ ბორისენკომ 44-ე სვლაზე ტოლუშს მეოთხე დამარცხება მიაყენა.

სამი პარტია გადაიდო. გურგენიძემ კოტოვთან ძველინდური დაცვა გაითამაშა. კოტოვმა ისარგებლა გურგენიძიას უპრეტენზიო სვლებით და უკეთესი პოზიცია მიიღო. მაშინ გურგენიძემ პაიკის შეწირვით აღადგინა პოზიციური თანასწორობა და ძალზე გაართულა თამაში. ასეთ მდგომარეობაში გადაიდო ეს პარტია. ტაიმანოვს ზედმეტი პაიკი აქვს ავერბახთან, სპასკის შეუძლია მოგება ფურმანთან.

VI ტურში ყურადღების ცენტრში იყო ლიდერების — ბოლესლავსკი-გელერის პარტია. ორივე მოჭადრაკე ძველინდური დაცვის დიდი სპეციალისტები არიან, მაგრამ მათ ნიმცოვიჩის დაცვა გაითამაშეს. ამით თითქოს ასიამოვნეს რიგელებს. რადგან მათ ქალაქში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ერთ დროს მსოფლიო ჩემპიონობის კანდიდატი გროსმაისტერი ა. ნიმცოვიჩი. ბოლესლავსკიმ გამზოლოებული პაიკი მიიღო, რომლის მოგება შეეძლო გელერს, მაგრამ ოდესელმა გროსმაისტერმა არჩია მისი ბლოკირება და ფიგურების მანევრირება. მოახლოვებულ ცაიტნოტში პოზიცია გამარტივდა და მეტოქეებმა ყაიმზე შეთანხმების ნიშნად ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს. მალე მათ მიბაძეს პეტროსიანმა და კოტოვმა, რომლებმაც თავი აარიდეს გართულებებს.

დანარჩენ პარტიებში თამაში მწვავედ მიმდინარეობდა. სუეტინი (თეთრებით) კარგად გაერკვა ტაიმანოვის ახალ გაგრძელებაში, რომელიც მან ესპანურ პარტიაში გამოიყენა და იერიში მიიტანა შავების მეფეზე. ლენინგრადელი არასწორად იცავდა თავს და უკვე 28-ე სვლაზე დანებდა. კორჩნოიმ უკრაინის ჩემპიონ ბანიკთან დებიუტიდან მძიმე პოზიცია მიიღო. ბანიკი მტკიცედ განაგრძობდა შევიწროებას. უკვე ცაიტნოტში 36-ე სვლაზე კორჩნოიმ გადააცილა საკონტროლო დროს და წაგება მიესაჯა. პოლუგაევსკიმ დასაწყისშივე არასწორად ითამაშა და უროკოდ დარჩა. ავერბახმა ეს გარემოება კარგად გამოიყენა და გაიმარჯვა.

კომბინაციური ბრძოლით აღინიშნა სპასკი-კროგიუსის შეხვედრა. ხან ერთი აწირავდა ფიგურას, ხან მეორე. უკანასკნელი შეცდომა დაუშვა კროგიუსმა, როდესაც მან ცაიტნოტში ორი ფიგურა შესწირა. საპასუხო შეწირვის განხორციელებით სპასკი ზედმეტი ხარისხით დარჩა. კროგიუსი დანებდა.

სამი პარტია არ დამთავრებულა. გურგენიძემ ისე, როგორც პეტროსიანთან, ტალთანაც ინგლისური დაწყება გაითამაშა, მაგრამ ამჯერად უფრო აქტიურად. მან ტალს ორი კუს უპირატესობა დაუთმო, სამაგიეროდ, ხელსაყრელად განალაგა თავისი მხედრები. გროსმაისტერი იძულებული იყო დაცვაზე გადასულიყო და უვნებელყო თბილისელის მუქარები. ცაიტნოტში გურგენიძემ პასიურად და არასწორად ითამაშა. ტალმა ტაქტიკური მანევრით მოიგო პაიკი. პარტია გადაიდო. ბრონშტეინის მეფე იმყოფება ბორისენკოს მრავალ ქიშის მუქარის ქვეშ. თუ მეფემ შეძლო თავიდან მათი მოშორება, მაშინ, მოსკოვის ჩემპიონი მოიგებს პარტიას. რთული პოზიციაა ტოლუშ-ფურმანის პარტიაში.

VI ტურის შემდეგ ლიდერობენ ე. გელერი — 4,5 ქულა, ი. ბოლესლავსკი — 4, ი. ავერბახი და ბ. სპასკი — 3,5 ქულა და თითო გადადებული პარტია.

უჩვეულო დეპეშა

გფრ-ის ფეხბურთელთა კავშირის პრეზიდენტმა დოქტორმა ბაუსმა სოფელ პადერბორნის მცხოვრებ მარია როზეს გაუგზავნა ასეთი შინაარსის დეპეშა: „გისურვებთ მრავალ ბედნიერებას თქვენი დაბადების 87 წლისთავის შესრულების გამო“. ფეხბურთელთა ეს ბებია გფრ-ში ცნობილია იმით, რომ დღემდე „პატერბონ 13-ის“ მიერ ჩატარებული 674 შეხვედრიდან არც ერთი არ გაუცდენია.

ბათუმის პიონერთა სახლში დამთავრდა ქალაქის 1958 წლის პირველობა ჭადრაკში პიონერთა შორის.

* * *

ს ურ ა თ ზ ე: შეჯიბრების მთავარი მსაჯი, პირველი კატეგორიის მსაჯი, ე. შოშვილი თვალს ადევნებს ჩემპიონატის მსვლელობას.

ფოტო ა. ვართანოვისა.

ნათლიები

პამირის ... მიუნიხენში

აქ არც უშბაა და არც თეთნულდი,
მთა არის მეტად ნაპრალიანი...
მაგრამ დავრჩებით სიტყვის
ერთგულნი —
ჩვენი გატეხა ზღაპარი არი.
მწვერვალი ზვავს და გრიგალს
გვიგზავნის,
რა ვუყოთ, მოსდგამს ერთი ავიზნე.
მაინც ახლოა ჩვენი მიზანი,
ბურსა და ნისლშიც მოჩანს
სამიზნე.
ცვდება წრიალი, ტინის მკვნეტელი,
ილევა კიდეც სარკე ყინულის,
რამ ააყუდა, ა, ეს კედელი,
კაცის თვალთაგან ჯერ არხილული?
აგერ მწვერვალის თავიც მელოტი,
მღვრიე ღრუბლებში როგორ
ჩანთქმული,
ჩვენ უსახელოდ დიდხანს გველოდა,
რომ მოგვენათლა ჩვენებრ,
ქართულად.
ამ მღელვარ წუთებს დიდხანს
ველოდით...
— წამოჩოქება მისი შევძელითო!..
მოვხიბლოთ ქართულ
სადღეგრძელოთი, —
ჩვენც, ნათლიებიც. ვიყვნეთ
დღეგრძელნი.

ბ. წიკლაური

პირველი თათბირი

ამ დღეებში შედგა ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „განთიადის“ რესპუბლიკური საბჭოს პირველი თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ ტექნიკუმების, სპეციალური სასწავლებლებისა და წარმოება-დაწესებულებათა ინსტრუქტორები, მასწავლებლები, მწვრთნელები და მეთოდისტები.

თათბირზე მოხსენებით გამოვიდა უფროსი ინსტრუქტორი ი. ჯიშკარიანი, რომელმაც დამსწრეთ გააცნო საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილება საზოგადოების სტრუქტურის შესახებ. საბჭოს სასწავლო ნაწილის გამგემ გ. იოსებაშვილმა დამსწრეთ გააცნო ახალი სპორტული კალენდარი.

თათბირის მონაწილეებმა კალენდარში შეიტანეს სათანადო შესწორებანი.

სპერესი იმარჯვებს მე-4 რაუნდში

ბუენოს-აირესში (არგენტინა) ამას წინათ შედგა მატჩი მსოფლიო პირველობაზე პროფესიონალ მოკრივეთა შორის უმჩატეს წონაში. არგენტინელი პასკალ პერესი იცავდა თავის ტიტულს ევროპის ჩემპიონ ესპანელ იანგ მარტინთან შეხვედრაში.

ბრძოლის ფორმულა შეადგენდა 15 რაუნდს, ორივე მოკრივე შესანიშნავ სპორტულ ფორმაში იმყოფებოდა. პერესი იწონიდა 49,1 კილოგრამს, ხოლო მარტინი — 50,8 კილოგრამს.

მეოთხე რაუნდში, როცა გონს აკლდა 13 წამი, პერესმა ძლიერი მარჯვენა დარტყმით ნოკაუტში ჩაგდო მარტინი.

აურაცხელი მაყურებელი აღფრთოვანებული ყიჟინით შეეგება თავისი თანამემამულის გამარჯვებას, რომელიც მეორედ ინარჩუნებს მსოფლიო ჩემპიონის წოდებას უმჩატეს წონაში.

საინგერესო გადაწყვეტილებანი

მიუნჰენში ჩატარდა ევროპისა და ხმელთაშუაზღვის აუზის ქვეყნების კალათბურთის ეროვნული ფედერაციების წარმომადგენელთა თათბირი, რომელზეც განხილულ იქნა ახალი წესების ცხოვრებაში გატარების შედეგები. საბჭოთა კავშირის დელეგატის ი. პრეობრაჟენსკის განცხადება აღნიშნულ საკითხზე დიდი ყურადღებით იქნა მოსმენილი.

თათბირმა ერთხმად აღნიშნა, რომ ახალმა წესებმა, განსაკუთრებით 30 წამის წესმა, დიდი როლი ითამაშა კალათბურთის შემდგომი განვითარების საქმეში. გადაწყდა საერთაშორისო მატჩების დროს, სათამაშო მოედნებზე ექვსათურიანი აპარატურის მოწყობა, რომელიც აღნიშნავს გუნდის მიერ ბურთის ფლობის დროს სიზუსტით 5 წამამდე. აპარატურა უნდა დადგმულ იქნას ორივე ფართან, ისე რომ მას კარგად ხედავდნენ მოთამაშეებიც და მაყურებლებიც.

თათბირზე დამტკიცდა ევროპის მომავალი ჩემპიონატის ჩატარების ადგილი და თარიღი. ვაუთა პირველობა მოეწყობა 1959 წლის მაისში სტამბოლში. დამტკიცდა აგრეთვე ევროპის თასის დებულება. ეს შეჯიბრება დაიწყება 1958 წლის 1 მარტს და გასტანს 15 ივლისამდე.

საბჭოთა კავშირიდან ევროპის თასის გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებს ჩვენი ქვეყნის 1957 წლის ჩემპიონი რიგის გუნდი. პირველ მატჩს რიგის კალათბურთელები ჩატარებენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჩემპიონთან.

საინტერესო წინადადება შემოიტანეს ბულგარეთის წარმომადგენლებმა. მათი აზრით ევროპის ტერიტორიაზე ქალთა გუნდების თამაშის ხანგრძლივობა ყოველ ტაიმში უნდა იყოს არა 18 წუთი, არამედ 20. ეს წინადადებაც მიღებული იქნა, მაგრამ იმ დამატებით, რომ გაიზარდოს წუთშესვენებათა რიცხვი ექვსამდე (3-3 ყოველ ნახევარში)

რედაქტორი ი. უგულავა

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ილელო“,
ტელეფონები: რედაქტორის — 3-89-62, 3-მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-38-25.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14. უე 00225